



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება



განკარგულება:გ-13.13203494

თარიღი:14/12/2020

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №36 განკარგულებაში და აღნიშნული განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღეშვილის ქ.№62.).

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სამოქმედო გეგმა 2021-2023 წელი

მიზანი 1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ეფექტიანი ლოჯისტიკის უზრუნველყოფა						
ამოცანა 1.1 ნარჩენების შეგროვების და განთავსების უზრუნველყოფა, ზარის სისტემის ამოღება						
დონისძიებები	განხორციელების პერიოდი	პასუხისმგებელი ორგანო	ხარჯები (ლარი)	დაფინანსების წყრო	შენიშვნა	
1.1.1	მცირე ზომის ურნების შექმნა და დამონტაჟება	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია	20000	ბიუჯეტი	კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ 200 ცალი მცირე ზომის ურნა იქნა შექმნილი. საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოხდება შექმნა დამონტაჟება.
1.1.2	ნარჩენების შეგროვების ოპტიმალური მარშრუტებისა და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკების ოპტიმიზაცია	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია			მარშრუტები და გრაფიკები შედგენილია კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ, ურნების დამატების შემთხვევაში ხდება ყოველწლიურად მისი განახლება.
1.1.3	ეტაპობრივად სტიქიური ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია/რემედიაცია და არსებულ ნაგავსაყრელზე გატანა	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია	24500	ბიუჯეტი / დონორის დახმარება	ადმოქმენისთანავე კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ხდება აღმოფხვრა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ისეთი სტიქიური ნაგავსაყრელები, რომელთა სალიკვიდაციო საჭიროებს დონორი ორგანიზაციის დახმარებას, აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი N3253/07; 24.07.2020წ.
ამოცანა 1.2 ნარჩენების შემკრები კონტეინერების სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვა						
1.2.1	ნარჩენების შეგროვებისათვის შესაბამისი სპეც. ტექნიკის შექმნა	2021	მუნიციპალიტეტი	110000	დონორის დახმარება	დონორის მოძიების პროცესშია. აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი N1791/07; 11.04.2019წ.
1.2.2	ნარჩენების კონტეინერების რეცხვის გრაფიკის შემუშავება	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია			გრაფიკი შედგენილია კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ და ხდება ყოველწლიურად მისი განახლება
ამოცანა 1.3 ეფექტური და ხარისხიანი დასუფთავების უზრუნველყოფა						
1.3.1	ქუჩის დაგვის გრაფიკის შემუშავება და ყველა ქუჩის დაგვა , დასუფთავების უზრუნველყოფა	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია			გრაფიკი შედგენილია კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ და ხდება ყოველწლიურად მისი განახლება
1.3.2	ერთი დამგველი მანქანის შექმნა	2021	მუნიციპალიტეტი	800000	დონორის დახმარება	დონორის მოძიების პროცესშია
1.3.3	ქუჩის სარწყავი მანქანის შექმნა	2021	მუნიციპალიტეტი	850000	დონორის დახმარება	დონორის მოძიების პროცესშია
1.3.4	სპეც ტანსაცმლის შექმნა	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია	28000	ბიუჯეტი	კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ყოველწლიურად ხდება შექმნა სპეცტანსაცმლის მუშა-მოსამსახურეთათვის
ამოცანა 1.4 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა						

1.4.1	რუკის მომზადება რომელზეც დატანილია კონტეინერების განთავსების ადგილები და გრაფიკები „ასევე შერჩეულია ოპტიმალური მარშრუტები“	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია			რუკა მომზადებულია მუნიციპალიტეტის რესურსებით, ხდება ყოველწლიურად მისი განახლება
1.4.2	სტატისტიკური ანალიზისათვის მონაცემთა ცხრილების მომზადება	2021	კონტრაქტორი ორგანიზაცია			კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ მომზადებულია და ხდება ყოველწლიურად მისი განახლება
ამოცანა 1.5 ნარჩენების მართვის მოსამხურებისათვის მოსაკრებლის ამოქმედება						
1.5.1	უზრუნველყოფის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდა და ტრენინგების ჩატარება	2021	მუნიციპალიტეტი	15000	დონორის დახმარება	ეტაპობრივად მიმდინარეობს ტრენინგები
მიზანი 2.	ნარჩენების შეგირების და სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა					
ამოცანა 2.1 ნარჩენების რეციკლირების პროპაგანდის ხელშეწყობა						
2.1.1	შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან	2021	მუნიციპალიტეტი			როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებთან ხდება შეხვედრები ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით
2.1.2	ინფორმაციის შეგროვება ნარჩენების რაოდენობასა და ტიპებზე (პლასტიკი, ქაღალდი)	2021	მუნიციპალიტეტი			2019 - 2020 წწ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოძიებულია
2.1.3	ბაზრის კვლევის ჩატარება პოტენციური სეპარირებული ნარჩენების გადამუშავებასთან მიმართებაში	2021	არასამთავრობო მუნიციპალიტეტი უნივერსიტეტი	18500	დონორის დახმარება	დონორის მოძიების პროცესშია
ამოცანა 2.2 ნარჩენების შეგირების ხელშეწყობა						
2.2.1	სოციალური რეკლამების მომზადება	2021	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	დონორის მოძიების პროცესშია
ამოცანა 2.3 ნარჩენების შემგროვებელი ბუნკერების დადგმა ორგანული ნარჩენების , პლასტმასის, მაკულატურისა და მინის სეპარირებისათვის ქ ვალეში, ქ ახალციხის სკვერში , რიგ საბავშვო ბაღებში						
2.3.1	მუნიციპალური ნარჩენების სეპარაციის მიზნით შესაბამისი კონტეინერების შეძენა	2021	მუნიციპალიტეტი		ბიუჯეტი/დონორის დახმარება	აღნიშნულთან დაკავშირებით გაგზავნილია წერილი N6765/07; 10.09.2019წ. ამასთანავე მიმდინარეობს დონორის მოძიება
2.3.2	სასაწყობე ადგილების გამოყოფა	2021	მუნიციპალიტეტი		ბიუჯეტი/დონორის დახმარება	

ამოცანა 2.4 მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კომპოსტირების შესახებ

2.4.1	კომპოსტირების შესახებ ბუკლეტებისა და ბროშურების დამზადება	2021 - 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით
-------	---	-------------	----------------	--	-------------------	--

მიზანი 3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის შესახებ.

ამოცანა 3.1 ნარჩენების მართვის საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

3.1.1	ტრენინგ-სემინარების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის	2021 - 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	ეტაპობრივად მიმდინარეობს ტრენინგები
3.1.2	ბაღების აღსაზრდელებისათვის სახალისო მასალების შემუშავება და დაბეჭდვა	2021 - 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით

ამოცანა 3.2 საინფორმაციო კამპანია ნარჩენების მართვის შესახებ

3.2.1	ტელეგადაცემების ორგანიზება	2021- 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	მიმდინარეობს დონორის მოძიება
3.2.2	პუბლიკაციების გამოცემა	2021- 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	მიმდინარეობს დონორის მოძიება
3.2.3	კონფერენციების ჩატარება	2021	მუნიციპალიტეტი	15000	ბიუჯეტი/დონორის დახმარება	მიმდინარეობს დონორის მოძიება
3.2.4	სიანფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	2021- 2023	მუნიციპალიტეტი		დონორის დახმარება	ხორციელდება დონორი ორგანიზაციების დახმარებით